შპს „შენობა-ნაგებობათა კვლევისა და
ექსპერტიზის ცენტრი"
LTD „THE CENTER OF BUILDING RESEARCH
AND EXPERTISE"

თბილისი, თამარ მეფის გამზირი 5ა
Tel (+995 32227704, E-mail

30.07.14 № 03-21
თქვ. №

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის №4-ის მიმდებარედ „ნისანი"-ს ცენტრის შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა, მის მეზობლად ახალი მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით.

ქ. თბილისი

2014 წელი

ვამტკიცებ შ.პ.ს. „მშენებლობის

ექსპერტიზის და სერტიფიკაციის ცენტრი"-ს

დირექტორი „__________" [illegible]

„30" „07" 2014წ

დასკვნა

ქ. თბილისში, დიდი აღმაშენებლის ხეივნის №4-ის მიმდებარედ „ხიდანი"-ს ცენტრის შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა მის შენობაზე ახალი მშენებლობის დაშენებასთან დაკავშირებით.

შემსრულებლები:

ინჟინერი დ. ტაბატაძე

ინჟინერი ი. ჯანგირაშვილი

ქ. თბილისი

2014 წელი

გამოკვლევის მიზანი, მეთოდიკა და ამოცანები

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებელის ხეივნის №4-ის მიმდებარედ „ნისანი"-ს ცენტრის შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა, მის მეზობლად ახალი მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით.

შ.პ.ს. „ჯეო ავტო 1"-ის დირექტორის მეხრი ამირსლანოვის დაკვეთის და დადებული №25 ხელშეკრულების საფუძველზე დაისახა მიზანი: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებელის ხეივნის №4-ის მიმდებარედ „ნისანი"-ს ცენტრის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმება СП-13-102-2003 (შენობის და ნაგებობების, მზიდი საშშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები) დოკუმენტის დაცვით. შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევის კონცეფციის თანახმად განისაზღვრა სამუშაოს მეთოდიკა და ამოცანები:

1. ადგილზე გასვლა და სიტუაციის გაცნობა;
2. ობიექტის მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური გამოკვლევა.

გამოყენებული აპარატურა

1. ლაზერული მანძილმზომი;
2. ციფრული ფოტო აპარატი „CANON";
3. შმიტის ჩაქუჩი (ELCOMETER 181).

გამოყენებული ლიტერატურა

1. СниП 03-01-84, ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები, 1985 წ.;
2. СниП 2-03-11-85. Зашита строительных конструксии от корозии;
3. СниП II-А.12-69, Часть II, Глава 12. Строительство в сейсмических районах;

გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა

გამოსაკვლევი „ნისანის“ ცენტრის შენობა მდებარეობს ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №4-ის მიმდებარე ტერიტორიაზე. შენობა ერთსართულიანია გეგმაში სწორკუთხედის ფორმისაა. იგი განთავსებულია სწორ რელიეფზე. ნაგებობა განკუთვნილია ავტომობილების სავაჭროდ. საძირკველი წერტილოვანია რკინა ბეტონის.

შენობა წარმოადგენს „კისლოვოდსკის“ ტიპის ლითონის კონსტრუქციით შესრულებულ სივრცით კარკასს. სვეტები ლითონის, რიგელები ლითონის ფერმებით, სახურავი ბრტყელი ლითონის ნივნივები და სენდვიჩის ტიპის გადახურვის ფილებით. შევსება სივრცითი კარკასის განხორციელებულია მეტალო-პლასმასის შემინული პანელებით, ასევე წვრილი სამშენებლო ბლოკებით. შენობის სიმაღლე შეადგენს 6,5 მ.

შენობის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ შენობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მას არ გააჩნია ჯდენით ან სხვა რაიმე მიზეზით გამოწვეული დეფორმაციის ნიშნები, რომლებიც უარყოფით გავლენას მოახდენდა შენობის მდგრადობაზე.

არსებული შენობის პორტალური შესასვლელის მეზობლად გათვალისწინებულია „ნისანის“ ცენტრის შოურუმის შენობის მშენებლობა, შ.პ.ს. „ჯეოავტო I“-ის დაკვეთის საფუძველზე. იგი ერთსართულიანია, გეგმაში კვადრატული ფორმის (15x15 მ).

გეოლოგიური კვლევით დადგინდა, რომ მიწის ნაკვეთი მდგრადია, მასზედ და მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური პროცესები განვითარებული არ არის. ფუძედ მიღებულია მიწის ზედაპირიდან 2,6 მეტრი სიღრმეზე გავრცელებული ძნელადპლასტიკური კონსიტენციის მუქი ყავისფერი თიხები, რომლის მახასიათებლებია R_0=2,7 კგ.ძ/სმ², φ_0=16°, ხვედრითი შეჭიდულობა C=0.4 კგ.ძ/სმ²,

დეფორმაციის მოდული E=150 კგ.ძ/სმ², გრუნტი სეისმურობის თვალსაზრისით განეკუთვნება II კატეგორიას.

არსებული შენობის საძირკველი და მშენებარე ობიექტის საძირკვლის ჩაღრმავება მდებარეობს ერთ დონეზე, ურთიერთგავლენა შენობის საძირკვლების და დაშორება იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\alpha \geq \frac{\Delta h}{tg\varphi 1+\frac{c1}{p}}. \qquad (1)$$

ჩვენს შემთხვევაში Δh=0, თუ ამას შევიტანთ (1) ფორმულაში, მივიღებთ საძირკვლებს შორის დაშორება $\alpha = 0$.

აღნიშნულიდან გამომდინარე ერთსართულიანი, გეგმაში კვადრატული ფორმის შენობის მშენებლობა ტექნიკური თვალსაზრისით შესაძლებელია. ის უნდა განხორციელდეს სათანადოდ დამუშავებული პროექტის მიხედვით, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საძირკვლის ჩაღრმავებას 2,6 მეტრზე, აგრეთვე სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნებს, გაანგარიშებას 8 ბალიან სეისმურ ზონაში.

ფოტო მონტაჟი და არსებული შენობის ფოტო მასალა მოცემულია დანართში.

დასკვნა

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებელის ხეივანი №4-ის მიმდებარე ტერიტორიაზე „ნისანის“ ცენტრის ერთსართულიანი შენობის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა:

1. შენობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მას არ გააჩნია ჯდენით ან სხვა მიზეზით გამოწვეული დეფორმაციის ნიშნები, რომლებიც უარყოფით გავლენას მოახდენდა შენობის მდგრადობაზე;

2. არსებული შენობის მომიჯნავედ, ერთსართულიანი „ნისანის“ ცენტრის შოურუმის შენობის მშენებლობა ტექნიკური თვალსაზრისით შესაძლებელია. ის უნდა შესრულდეს სათანადოდ დამუშავებული პროექტის მიხედვით, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საძირკვლის ჩაღრმავებას 2,6 მეტრზე და 8 ბალიან სეისმურობაზე გაანგარიშებას;
3. პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნებს.

დანართი






ESAN




ERLSEN NISSAN